ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3513546

ნომერი: AR1536528

თარიღი : 31.08.2017

გაცემის თარიღი : 04.09.2017

გაცნობის თარიღი : 05.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პაატა სააკაძე , (ყოფ. ხრამჰესის) N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შენგელი ჯიქია პ/ნ 01023002925
- თბილისი არბოს ქ. კორ. 4 ბ. 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 აგვისტოს AR1536528 განცხადებით მომართეს შენგელ ჯიქიამ და კახა შენგელიამ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, პაატა სააკაძის #1-ში (საკადასტრო კოდი #01.16.04.051.005; ფართობი: 17092 კვ.მ.) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენებით) მიზნით

დამტკიცდა 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად, შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.16.04.051.005 ფართობი 17092 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017794508, რეგისტრაციის თარიღი : 31/08/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 29 დეკემბრის №1267 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.